ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

ზამთრის სკოლა:

კრიტიკული აზროვნება სოციალურ მეცნიერებებში

ზამთრის სკოლის მონაწილეების შერჩევა

2014 წელი

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია **2**

სტუდენტის ამოცანები **2**

ვის შეუძლია კონკურსში მონაწილეობის მიღება **3**

სააპლიკაციო მოთხოვნები **5**

მონაწილეების შერჩევა **7**

ფინანსური საკითხები **7**

კონტაქტი **7**

ზოგადი ინფორმაცია

ზამთრის სკოლა გაიმართება 17–26 თებერვალს. 10 დღის განმავლობაში ჩატარდება ლექციები და გაიმართება დისკუსიები ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. თითოეულ დღეს წაიკითხება ექვსი ლექცია ორი ლექტორის მონაწილეობით და დღის ბოლოს გაიმართება დისკუსია, რომელსაც აღნიშნული ლექტორები გაუძღვებიან. სულ ზამთრის სკოლაში მოწვეულია 15 პედაგოგი.

ზამთრის სკოლაში მონაწილეობას 50 სტუდენტი მიიღებს, მათგან 30 იქნება საქართველოს სხვადასხვა რეგიონის უნივერსიტეტებიდან, ხოლო 20 – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან.

სტუდენტის ამოცანები

ზამთრის სკოლაში მონაწილეობის მიღების მსურველი სტუდენტი :

- ✓ უნდა დარეგისტრირდეს ზამთრის სკოლაში მონაწილეობის მისაღებად და შეავსოს აპლიკაცია სააპლიკაციო მოთხოვნების შესაბამისად;
- ✓ არჩევის შემთხვევაში, მიიღებს დეტალურ ინფორმაციას ზამთრის სკოლის შესახებ;
- ✓ არჩევის შემთხვევაში, დაესწრება ზამთრის სკოლას, რომელიც გაიმართება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მოცემული 10 დღის განმავლობაში მოუსმენს ლექციებს, მონაწილეობას მიიღებს დისკუსიებში.
- ✓ ზამთრის სკოლის დასრულების შემდეგ დაწერს ტესტს და ესსეს, რომელთა საფუძველზეც მას გადაეცემა სერთიფიკატი; საუკეთესოდ მიჩნეული ესსე მოხვდება სახელმძღვანელოში „კრიტიკული აზროვნება“.[1]

[1] აღნიშნულ სახელმძღვანელოში შევა სტუდენტების ნაშრომებიდან ამორჩეული 5 საუკეთესო ესსე.

ვის შეუძლია კონკურსში მონაწილეობის მიღება

კონკურში მონაწილეობის მიღების მსურველი სტუდენტი უნდა აკმაყოფილებდეს ოთხ ძირითად პირობას:

I. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სტუდენტებს, რომლებიც ამჟამად არიან III-IV კურსზე და სწავლობენ ქვემოთ ჩამოთვლილ უნივერსიტეტებში. ფაკულტეტები და მათი ძირითადი საბაკალავრო პროგრამა (Major) ან დამატებითი საბაკალავრო პროგრამა (Minor) უნდა ემთხვეოდეს ამ ჩამონათვალში მოცემულ სპეციალობებს:

- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი *(სპეციალობები: სოციოლოგია, პოლიტიკის მეცნიერება, ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია, საერთაშორისო ურთიერთობები, საზოგადოებრივი გეოგრაფია, სოციალური მუშაობა, ფსიქოლოგია და გენდერის კვლევა)*;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი *(სპეციალობები: საერთაშორისო ურთიერთობები, ფსიქოლოგია და ევროპისმცოდნეობა)*;
- ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი *(სპეციალობები: საერთაშორისო ურთიერთობები, ჟურნალისტიკა, სოციალური მეცნიერებები და პოლიტოლოგია)*;
- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი *(სპეციალობები: ჟურნალისტიკა და საჯარო მმართველობა)*;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი *(სპეციალობები: ჟურნალისტიკა, ფსიქოლოგია, საჯარო მმართველობა)*;
- სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი *(სპეციალობა: მასობრივი კომუნიკაცია და ჟურნალისტიკა).*

II. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველ სტუდენტს არ უნდა ჰქონდეს 2.0–ზე ნაკლები საშუალო ნიშანი (GPA)[2].

III. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა სტუდენტმა უნდა იცოდეს ინგლისური ენა B2 დონეზე მაინც, რადგან ზამთრის სკოლის ორი პედაგოგი დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტების წარმომადგენელია და ლექციებს ჩაატარებენ ინგლისურ ენაზე. აუცილებელია, რომ სტუდენტს კარგად ესმოდეს ლექცია და შეეძლოს ინგლისურ ენაზე დისკუსიაში მონაწილეობის მიღება.

IV. სტუდენტს უნდა ჰქონდეს წვდომა ინტერნეტთან, რათა ესსეების მოწოდება მოხდეს ელექტრონულად. სტუდენტს, საჭიროების შემთხვევაში, უნდა შეეძლოს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით პროექტის კოორდინატორებთან კონტაქტიც. ამიტომ, ელექტრონული ფოსტის ქონა აუცილებელი მოთხოვნაა.

გაითვალისწინეთ, რომ თუ სტუდენტი ჩამოთვლილ პირობებს არ აკმაყოფილებს, მისი გამოგზავნილი აპლიკაცია არ განიხილება.

[2] GPA – Grade Point Average - საშუალო ნიშანი, რომელიც გამოითვლება ასე: „სტუდენტის მიერ თითოეულ სასწავლო კურში მიღებული ქულა მრავლდება ამ კურსის კრედიტების რაოდენობაზე, ხოლო ამ ნამრავლთა ჯამი იყოფა ყველა სასწავლო კურსის კრედიტების საერთო რაოდენობაზე“. წყარო: http://www.tsu.ge/data/file_db/academic_orders/228_09_dan1.pdf

სააპლიკაციო მოთხოვნები

თუ სტუდენტი ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს და გადაწყვიტა, მონაწილეობა მიიღოს ზამთრის სკოლაში, მან უნდა შეავსოს აპლიკაცია და წარმოადგინოს რამდენიმე დოკუმენტი.

I. აპლიკაცია

აპლიკაცია სტუდენტმა უნდა შეავსოს ამ მისამართზე:
https://adobeformscentral.com/?f=nvReSjdXspBsr6Wm0jDstQ

აპლიკაციაში შედის ისეთი ძირითადი ინფორმაცია, როგორიცაა საკონტაქტო მონაცემები, უნივერსიტეტი და ფაკუტეტი, ინგლისური ენის ცოდნის დონე, პროფესიული ინტერესის სფეროები და ა.შ. ამ გრაფების შევსების შემდეგ სტუდენტმა უნდა ატვირთოს დამატებითი დოკუმენტაცია, დააჭიროს ღილაკს „განთავსება“ („submit”) და აპლიკაცია ავტომატურად აიტვირთება.

II. დამატებითი დოკუმენტაცია

2.1. პირადობის მოწმობის ასლი

2.2. ცნობა უნივერსიტეტში სწავლის შესახებ

აპლიკაციას სტუდენტმა უნდა მიაბას რამდენიმე დოკუმენტი. მათგან ერთ–ერთია ცნობა უნივერსიტეტში სწავლის შესახებ. ცნობაში მითითებული უნდა იყოს, რომ სტუდენტი არის მესამე ან მეოთხე კურსის ბაკალავრიატის სტუდენტი შესაბამის ფაკულტეტზე. ცნობა სტუდენტმა უნდა მოითხოვოს უნივერსიტეტში, დაასკანეროს და მიაბას აპლიკაციას.

2.3. ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი

როგორც უკვე აღინიშნა, ზამთრის სკოლის პედაგოგებიდან ორი პროფესორი დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტების წარმომადგენელია. ისინი ლექციებს ჩაატარებენ ინგლისურ ენაზე. ამიტომ, ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა აუცილებელი პირობაა. საჭიროა, სტუდენტს შეეძლოს მოსმენილის ანალიზი და ინგლისურ ენაზე დისკუსიაში მონაწილეობის მიღება.

შესაბამისად, სტუდენტმა უნდა დაადასტუროს, რომ იცის ინგლისური ენა მოთხოვნილ დონეზე. ეს შეიძლება რამდენიმე გზით მოხდეს:

- ატვირთოს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო (TOEFL, IELTS და ა.შ.) სერთიფიკატი ან ამ სერთიფიკატის ექვივალენტი;
- ატვირთოს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი საბუთი/სერთიფიკატი;
- ატვირთოს რომელიმე საერთაშორისო უნივერსიტეტში გავლილი საგნების/სასწავლო კურსების დამადასტურებელი ცნობა, სადაც აღნიშნულია, რომ სტუდენტმა აღნიშნული საგნები/კურსები ინგლისურ ენაზე გაიარა;
- ატვირთოს ცნობა იმის შესახებ, თუ რა ქულა მიიღო უნივერსიტეტის ფარგლებში გავლილი ინგლისური ენის საგანში/საგნებში.

2.4. ესსე

სტუდენტმა უნდა დაწეროს ესსე და მიაბას შევსებულ აპლიკაციას. ესსე უნდა ეხებოდეს ზამთრის სკოლის სილაბუსის თემატური ბლოკებიდან (იხ. „II. სალექციო თემები ზამთრის სკოლაში“) რომელიმეს და უნდა შედგებოდეს არანაკლებ 500 და არაუმეტეს 800 სიტყვისგან.

სტუდენტს შეუძლია დაწეროს ესსე ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას აინტერესებს და რომელიც მეტ–ნაკლებად ეხება თემატური ბლოკებიდან რომელიმეს *(თემატური ბლოკები: თანამედროვე სოციალური თეორიები და მეთოდოლოგია; დემოკრატია და ძალაუფლება; კულტურა და იდენტობები; ოჯახი და სექსუალური ქცევა; გლობალური გამოწვევები; სოციალური დაცვა და ინკლუზია; ურბანული სივრცე და მოდერნული საზოგადოება; ხელოვნება და საზოგადოება; რელიგიის სოციალური განზომილება)*[3].

ესსეს შეფასებისას ყურადღება მიექცევა ორიგინალურ ხედვას, შემოქმედებით აზროვნებას, სტილისტურ ადეკვატურობას, ტექსტის აგებულებას, თანმიმდევრულ მსჯელობას, არგუმენტაციას და ლოგიკურ დასკვნას. მნიშვნელოვანია, ავტორმა თავიდან აირიდოს პლაგიატიზმი.

გაითვალისწინეთ, რომ თუ დოკუმენტაცია არასრულად იქნება წარმოდგენილი, აპლიკაცია არ განიხილება.

[3] თემატური ბლოკების ჩამონათვალი იხ. დოკუმენტში “II. სალექციო თემები ზამთრის სკოლაში“

მონაწილეების შერჩევა

მონაწილეები შეირჩევიან აპლიკაციის და დოკუმენტაციის საფუძველზე. იმ სტუდენტთაგან, რომლებიც სრულად წამოადგენენ დოკუმენტაციას, უპირატესობა მიენიჭება მას, ვისი ესსეც მაღალი ქულით შეფასდება.

განაცხადების მიღება დასრულდება 31 იანვარს.

ფინანსური საკითხები

სტუდენტებისთვის ზამთრის სკოლა უფასოა. ანაზღაურდება ყველა სტუდენტის კვება და ტრანსპორტირება. ხოლო რადგან ზამთრის სკოლა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართება, რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტების დაბინავება საოჯახო სასტუმროში მოხდება და ხარჯს ზამთრის სკოლის პროექტი დაფარავს.

კონტაქტი

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვწერეთ ელექტრონულ მისამართზე:
tsuwinterschool@gmail.com